

რა ინფორმაციას მიიღებენ შეფასებაში მონაწილე სკოლები?

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ კონკრეტული სკოლის შედეგები კონფიდენციალურია და ხელმისაწვდომია მხოლოდ შესაბამისი სკოლისათვის.

- სკოლები მიიღებენ უკვე დამუშავებულ ინფორმაციას სკოლის, კლასისა და ცალკეული მოსწავლის მიღწევების შესახებ.
- მიწოდებული ინფორმაცია საშუალებას მისცემს მათ დაინახონ საკუთარი საგანმანათლებლო საქმიანობის მკაფიო სურათი - რა შედეგს აჩვენებს სკოლა, როგორია მოსწავლეთა მიღწევები ამა თუ იმ საგანსა თუ კლასში და სხვ.
- ამასთან, სკოლას საშუალება ექნება დამატებით გააანალიზოს ეს შედეგები სწავლების დამკვიდრებული პრაქტიკისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების (სასკოლო რესურსი, სწავლების სტრატეგიები) კონტექსტში.

ამ პროექტის ფარგლებში ჩვენი ამოცანა მოსწავლეთა მიღწევების იმგვარი აღწერაა, რომ მკაფიო გახდეს, რამდენად აკმაყოფილებენ მოსწავლეები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და რა დონეზე ფლობენ კლასის/საფეხურის შესაბამის საგნობრივ ცოდნასა და უნარებს.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მიღწევის დონეების განსაზღვრას.

მოსწავლეთა მიღწევების ანალიზისათვის გამოყენებული იქნება სტანდარტების დადგენის პროცედურა. ეს პროცედურა, რომელშიც პრაქტიკოსი პედაგოგები, სკოლის დირექტორები და სხვა ექსპერტები მონაწილეობენ, საშუალებას გვაძლევს, მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან მიღწევების ესა თუ ის დონე ანუ დავადგინოთ ის ქულა (ქულები), რომელიც მიუთითებს, სად სრულდება მიღწევის ერთი საფეხური (მაგ.: მიღწევის საშუალო საფეხური) და იწყება მეორე (მაგ.: მიღწევის მაღალი საფეხური). ამ პროცედურას ტესტირებამდე ვატარებთ და, შესაბამისად, სკოლებისათვის ხელმისაწვდომი ხდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა რა ნაწილმა დაძლია მიღწევის დაბალი, საშუალო, მაღალი და უმაღლესი საფეხურები კონკრეტულ საგანში;
- მოსწავლეთა რა პროცენტმა ვერ გამოავლინა მინიმალური კომპეტენციაც კი მიღწევის დაბალი საფეხურისათვის განკუთვნილი დავალებების შესრულებისას;
- მიღწევის რა საფეხური დაძლია კონკრეტულმა მოსწავლემ კონკრეტულ საგანში.

უკუკავშირის ნიმუში:

- **საუკეთესო შესრულება:** სკოლის მოსწავლეთა 1.9% წარმატებით ძლევს მიღწევის უმაღლესი საფეხურის დავალებებს და, შესაბამისად, ავლენს მათემატიკაში გაწაფულობისა და საბაზო საფეხურის (მე-9 კლასი) შესაბამისი ცოდნისა და უნარების უმაღლეს დონეს; მათ შეუძლიათ რთული, არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნა, კომპლექსური ინფორმაციის ანალიზი, მსჯელობა, დასკვნების გამოტანა და განზოგადება.
- **კარგი შესრულება:** მოსწავლეთა 7.6% წარმატებით ძლევს მიღწევის მაღალი საფეხურის დავალებებს და, შესაბამისად, ავლენს საბაზო საფეხურის (მე-9 კლასი) შესაბამისი ცოდნისა და უნარების მაღალ დონეს (კარგი შესრულება); აქვთ საგნობრივი ცოდნა, შეუძლიათ ამ ცოდნის ეფექტიანი გამოყენება რეალურ, სტანდარტულ სიტუაციაში;

ფლობენ ანალიტიკურ უნარებს და შეუძლიათ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის სინთეზი ამოცანის ამოსახსნელად.

- **საშუალო შესრულება:** მოსწავლეთა 29.5% წარმატებით ძლევს მიღწევის საშუალო საფეხურის დავალებებს, რაც მიუთითებს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ნაწილობრივ ფლობაზე. მათ შეუძლიათ ელემენტარული მათემატიკური ცოდნის გამოყენება სხვადასხვა მარტივ სიტუაციაში (დამაკმაყოფილებელი შესრულება).
- **დამაკმაყოფილებელი შესრულება:** მოსწავლეთა 31% ძლევს მიღწევის დაბალი საფეხურის დავალებებს და, შესაბამისად, გააჩნია მინიმალური საბაზო ცოდნა მათემატიკაში (მინიმალური შესრულება).
- **არადამაკმაყოფილებელი შესრულება:** სკოლაში გამოიკვეთა მოსწავლეთა 30.3% ე. წ. კრიტიკული ნაწილი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაძლევის მინიმალურ დონეზეც ვერ ახერხებს - ვერ ძლევენ მიღწევის დაბალი საფეხურისათვის განსაზღვრულ უმარტივეს დავალებებსაც კი.

მიღწევის საფეხურების მიხედვით მონაცემები მომზადდება სკოლისა და კლასის დონეზე; ასევე თითოეული მოსწავლისათვის; მაგალითად:

ნიმუში: მოსწავლის სახელი, გვარი

- მათემატიკა - უმაღლესი საფეხური;
- ფიზიკა - მაღალი საფეხური;
- ისტორია - დაბალი საფეხური;
- ინგლისური - მაღალი საფეხური და ა. შ.

რეიტინგული მაჩვენებლები:

მონაწილე სკოლა ასევე მიიღებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- სკოლის შედეგები თითოეულ საგანში - სკოლის რეიტინგული პოზიცია (პროცენტილი) პროექტში მონაწილე ყველა სკოლას შორის; კონკრეტული კლასის რეიტინგი.
- თითოეული მოსწავლის შედეგი შესაბამის საგანში და ამ მოსწავლის რეიტინგული პოზიცია (პროცენტილი) პროექტში მონაწილე ყველა მოსწავლეს შორის.